 სსიპ ბირთვული და რადიაციული
უსაფრთხოების სააგენტო

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2025 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსის 2020 წლის 21 თებერვლის N0-65 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ელექტრონულ რესურსზე (anrs.gov.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სააგენტოში დასაქმებული პირი ნანა მამასახლისი.

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია (info@anrs.gov.ge) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში (2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისად, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა ცხრა განცხადება. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაკმაყოფილდა ყველა განცხადება.

უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.